ნაციონალური

პირველი ოქტომბრის 17 1920 წ. ნაციონალური და აგრარული პოლიტიკის ორგანო № 15 ფასი 10 მან.

მისამართი:

რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სასახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.
რედაქტორის: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22.

ხელის მოწერა:

წლის დამლევამდე—750 მან. (ფოსტ. ხარჯით).
ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

განცხადებანი

მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტით 1 გვერდზე—20 მან. 3-4-გვერდზე—10 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 სტრიქონი—400 მან.

მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა

„მწყემსს“,

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ანხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან

მატყლის ადგილობრივად საფასურად,

მიიღებს აგრეთვე წმ..ნდა მოგებას ნაწილის და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა, ე. ი. . . . . 10 პროც.
2) მეცხვარეს ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. . . . . 45 პროც.
3) სახელმწიფოს მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. . . . . 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ-გარეთის ბაზარზე.

მომარაგების სამინისტრო.

განცხადება.

ოქტომბრის 1-დან დაიწყო მოქმედება თბილისის სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიანთ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან—იქ თემებს და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

მომარაგების სამინისტროს,

რომელიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის ყიდვა გაყიდვა

პერმო პირთათვის აკრძალულია

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების, გაურეცხავი მატყლი 4.000 მან.
ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4.500 მან.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებული არიან** ადგილობრივ **გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყველა მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიჰყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

მომარაგების სამინისტრო.

ორშაბათს 18 ოქტომბერს
გამოვა ყოველ-კვირეული გაზეთი
„ცისფერი ყანწელების“

„ბარიკადი“

პოეზია, ესტეტიკა, პოლიტიკა.
რედაქტორი **ტიციან ტაბიძე**

მისამართი: სასტუმრო „კავკაზი“ №№ 44-45.

ნაციონალური პარტიის კონფერენცია

შესდგება თბილისში 23 ოქტომბერს (ლვინობისთვის 10 ძვ. სტ.)

დღიური წესრიგი:

I. მთავარი კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.
II. პროგრამისა და წესდების განხილვა.
III. საამაზრო მოხსენებანი (დელეგატებისა).
IV. საერიბო და საპარლამენტო არჩევნების საამზადისი.
V. არჩევნები მთავარი კომიტეტისა
VI. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100

კონფერენციის წევრებად უნდა იქნან არჩეული ის პირნი, რომელნიც დასახელებულ იქნებიან პარლამენტის საარჩევნო სიაში.

კონფერენციის დელეგატთა ალაგები განაწილებულია მაზრებს შორის დამფუძნებელი კრების აირჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით (ასზე—ერთი)

მთავ. კომიტ. პრეზიდიუმი

ოსმალეგი და რუსეგი.

ოსმალეთი და რუსეთი ერთი მეორეს უკავშირდება.

მათი დღეანდელი ბრძოლა სომხეთთან არის ბრძოლა იმ შარა-გზის ხელში ჩასაგდებად, რომელიც აერთებს რუსულ აძერბეიჯანს აქსტაფა-კარაკლის-გუმბრის შოსსეთი ყარს-სარიყამიშ-არზრუმს.

ეს გზა ერთხელ უკვე ჰქონდათ ხელში ოსმალებს 1918 წელს, მაგრამ მაშინ ოსმალები ამ გზით მარტო აქსტაფაში კი არა, ბაქოშიც ჩავიდნენ და იქიდან სწორედ ის რუსი ბალშევიკები გადენენ, რომელნიც დღეს ასე ცდილობენ სომხეთის გზა გაუხსნან ოსმალებს.

ჩვენ გვგონია, რომ რა კარგი სუბიექტიური მიზნებიც არ უნდა ჰქონდეს ქემალ-ფაშას რუსების მიმართ, ობიექტიურად მაინც ისტორიულ-ეროვნული და რელიგიური ფაქტორები იჩენს თავს და რა წამს ოსმალების ჯარი აძერბეიჯანის ტერიტორიაზე შედგამს ფეხს, იმ წამს დაიწყება დაპირდაპირება რუსულ და ოსმალურ ინტერესებისა.

მაშინ აღმოჩნდება, რომ ოსმალებისათვის ბალშევიზმი მხოლოდ ახალი ფორმაა ძველი პანისლამიზმისა.

ეს პანისლამიზმი და პან-თურქიზმი კი მარტო ინგლისს კი არ ემუქრება მესოპოტამიასა ან ინდოეთში, არამედ თვით რუსეთს უქადის დამონებულ მაჰმადიანურ პროვინციების—აძერბეიჯან-დაღესტან-ურქესტანის დაკარგვას.

ეს იყო ენვერ-ფაშას გეგმა. როცა იგი 1918 წელს კავკასიაში მოდიოდა, როგორც გერმანიის მოკავშირე, და ესეც უნდა იყოს მისი გეგმა, როცა იგი 1920 წელს ბაქოში როგორც რუსეთის მოკავშირე მოვიდა.

შინაური სესხის შესახებ

როდესაც რესპუბლიკას შინაური თუ გარეშე მტერი იარაღით დამუქრებია, მაშინ ორი აზრი აღარ ყოფილა, ერი გაერთიანებული გამოსულა საომარ ფრონტზე პოლიტიკურ პარტიების მოწოდებით. მემარჯვენე თუ მემარცხენე... (მხედველობაში არა გვყვანან კომუნისტები) ოპოზიცია მართველ პარტიასთან ერთად მოუწოდებდა ხალხს მთავრობას მხარში ამოსდგომოდა.

დღეს ჩვენ რესპუბლიკას სხვა მტერი ემუქრება, მტერი, მეტად საშიში და საფრთხე.

ეს მტერი არის ეკონომიური უაღრესი კრიზისი, რომელსაც სახელმწიფო ეგოდენ სწრაფი ნაბიჯით მიჰყავს უფსკრულისაკენ.

როდესაც ჩვენს რესპუბლიკას განსაცდელი მოელოდა, მას ამაგრებდა გაერთიანებული ერი. რესპუბლიკის გამაგრებით კი მაგრდებოდა მთავრობის პოზიციაც.

მართალია მენშევიკების ბატონობა და გამაგრება არაფრად გვეპიტნავებოდა მოწინააღმდეგე პარტიებს, მაგრამ თუ ამას ითხოვდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ინტერესები, ჩვენ ხელს ვუწყობდით

ნათ მბრძანებლობას და გამაგრებას.

დღესაც, როდესაც საშობლოს განსაცდელი, ეკონომიური არევ-დარევით, უახლოვდება, მმართველი პარტია კვლავ გაერთიანებისკენ მოუწოდებს ოპოზიციას.

როგორ და რანაირად უნდა მოხდეს გაერთიანება ამ ფრონტზე მუშაობისა?

როგორც „ერთობის“ მოწინავე გადმოგვცემს, ბ. კარლ. კაუცკის ეკონომიურ თათბირზე უთქვამს, რომ საჭიროა ფულის ბეჭდვა შეიცვალოს სესხის აღებით.

„ერთობის“ აზრით: „უცხოეთი, რომელიც თვითონაც საჭიროებს კაპიტალს, არ წამოვა აქეთკენ. დაგვრჩენია სესხი შინაური. შინაური სესხი უნდა განხორციელდეს ან ნება ყოფილობით, ან იძულებით. სპეკულიაციასა და კასრის ძირში ჩადებული ფული უნდა ამოიღოს სახელმწიფომ ხაზინის ძიმდინარე ხარჯების დასაკმაყოფილებლად. აი აქედან დაიწყება ნამდვილი და რადიკალური“ გაუჯობესობა არსებული პირობებისაო. მაშ გაერთიანების პირველი ნაბიჯი შინაურ სესხის საკითხში უნდა მოხდეს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საკითხში ვერ შეერთდებიან სოციალისტური და არა სოციალისტური პარტიები.

აიღეთ მაგალითად თუნდ ის საშუალება მმართველი პირტიისა, რომელსაც ურჩევს მთავრობას შინაურ სესხის ასაღებათ. შინაური სესხი უნდა განხორციელდეს ან ნება ყოფილობით ან იძულებითო. ჩვენ არ გვესმის იძულებითი სესხის აღება რას ნიშნავს. ზარბაზნებს ხომ არ გამოიტანენ და ვინც არ მიიღებს მონაწილეობას, ამ საშუალებით მიაღებინებენ?!

ასეთი საშუალებით ვერც სპეკული-ანტს და მით უმეტეს კერძო მესაკუთრე გლეხს კასრის ძირიდან ხაზინისთვის ფულს ვერ ამოაღებინებთ. შინაური სესხის აღება უნდა იყოს ნება ყოფილობითი; მაგრამ თავის ნებით კერძო მესაკუთრე ასესხებს სახელმწიფოს ფულს მხოლოდ მაშინ, როდესაც უზენაეს საკანონმდებლო ორგანოში ისხდებიან კერძო მესაკუთრეთა დამცველნი.

მისცეს ფული იმას, ვინც კერძო მესაკუთრეს ზიზღით იხსენიებს და ანადგურებს კერძო საკუთრებას?!

ამას ვერ ჩაადენინებს თვით სამშობლოს სიყვარული.

შეგნებული შეძლებული მამულიშვილი გაიღებდა ამნაირ სხვერპლს, რომ დარწმუნებული იყოს ამ საშუალებით, დღევანდელი მმართველნი რესპუბლიკას იხსნიდენ განსაცდელისგან, მაგრამ ჩათიციან რომ ამნაირი მართვის სისტემის დროს ვერც ეს სესხი უშველის.

უნდა შეიცვალოს მართველობის სისტემა. მართველობის სისტემა კი შეიცვლება მაშინ, როდესაც საკანონმდებლო ორგანოში ისხდებიან თავის ქონებით პასუხის მგებელნი პირნი, თორემ დღევანდელი პროლეტარიატის წარმომადგენლები რას დაკარგავენ მატერიალურად: სახლებს, ქარხნებს, ფაბრიკებს, მამულს თუ დედულს?

სამშობლოს დაკარგვა კი მათთვის დიდი არაფერი დანაკლისია, რადგან, როგორც ვიცით, მათი აზრით პროლეტარის სამშობლო იქ არის, სადაც კუჭი აქვს მაძღარი. მაშ შესცვალეთ სახელმწიფოს მაროვა-გამგეობის სისტემა და მაშინ ევროპაშიც და შინ—სახელმწიფოშიც სესხს ადვილად იშოვნით და საბეჭდი მანქანაც აღარ აიკრძალებს სახელმწიფოს „ზღვა ქაღალდებით“, რომლითაც იხრწნება რესპუბლიკის სუვერენობა.

ნელი.

პრესსა.

დიქტატურაზე

„კომუნისტი“ ასე ახასიათებს ს. დევდარიანის აზრებს („ერთობაში“) მთავრობის თავმჯდომარის დიქტატურის შესაძლებლობის შესახებ:

„უკვე ერთ პიროვნულ დიქტატურაზე ლაპარაკობენ საჯაროთ, და პრინციპიალურადაც ასაბუთებენ. აი მათი ერთ-ერთ ბურჯის ხელმეორე მტკიცება: „ერთ-პიროვნული დიქტატურა მისაღებია, თუ ის გამომდინარეობს საყოველთაო არჩევნებიდან.

მიუღებელია ბალშევიკების და დენიკინის დიქტატურა, რომელსაც არ აქვს ამისთანა დასაბაბი“.

აი ქებულ სოციალისტების სულ უკანასკნელი ნახტომი რეაქციის მორევში. საყოველთაო არჩევნების მიერ ონცხებულ დიქტატორს სიამოვნებით წამოვაკუბებთ საქართველოს მშრომელი ხალხის კისერზეო. ალბად არ კაროლის მიღებაზე იტყვიან უარს, ოღონდ მას არჩევის მანდატი ქონდეს რომელიმე მენშევიკურ კრებულისაგან.

ეს უკანასკნელი მანიფესტი ქართველ წვრილ ბურჟუაზიულ რეაქციონერების ღირს იმათ რომ მათ შუბლზე იქნებ აღბეჭდილი. საარჩევნო მანდატი ქონდათ ხოლმე პოლონეთის კაროლებს და თვით რუსეთის პირველ თვითმყრობელებს რომანოვების გვარეულობიდან. საარჩევნო მანდატი ქონდა საფრანგეთის პირველ კონსულს ნაპოლეონსაც, რომელმაც ხიშტებით გაარეკა სწორედ თავისი ამრჩეველები და იმპერატორად იქცა.

საყოველთაო არჩევნებმა ჯერ გააპრეზიდენტა და შემდეგ იმპერატორის მოსასხამი ბიანიკა საარაკო გაიძვერა ლეი ბონაპარტეს, ნაპოლეონ მესამეს. ბონაპარტიზმი და ცეზარიზმი—აი რა ორლობეში მოექცა ჩვენი სახელგანთქმული სოციალ-დემოკრატია, აი სანამდის დაეცა ის, სოციალიური და პოლიტიკური რეაქციის გზაზე ერთხელ ფეხ დადგული. არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ სულ მოკლე ხანში „ერთობა“ ერეკლე მეორის გვირგვინზე დაიწყებს ლაპარაკს, მის ცარცით გაფერვაზე და ვისმეს თავზე დადგმაზე—რასაკვირველია „დროებით“ და „საყოველთაო არჩევნების“ შემდეგ, სათანადო რეზოლიუციის გამოტანით და „მარქსისტული“ თვალსაზრისის დამოწმებით“.

ვრანგელი დ მეფე.

ყირიმულ გაზეთებში გამოქვეყნებულია მოწოდება საეკლესიო კრებისა, რომელიც თითონ ვრანგელმა მოიწვია. საეკლესიო კრება აუწყებს მოსახლეობას, რომ იგი ერთხმად სწყვეტს ყირიმში მეფის არჩევას. მოწოდებას ხელს აწერენ ეპ. თეოფანე, ვოსტოკოვი და ბარნაბა. იგი ყირიმის ყველა ქალაქებში გამოაკრეს.

ის ფაქტი, რომ მოწოდება გამოქვეყნებულია ვრანგელის ნებართვით, უსათუოდ უნდა ამჟღავნებდეს გენ. ვრანგელის ფარულ ზრახვებს. (ბ.)

—

იტალიის გაზ. „ავანტი“ იუწყება, რომ ვრანგელის ჯარში იყოფება ყოფ. დიდი მოთავარი მიხ. ალექსანდრეს ძე, რომელიც გენ. სლაშჩევის სახელით იმალება. ეს ფაქტი იმითაც მტკიცდება, რომ აფიცერთა სიაში გენ. სლაშჩევი არაა აღნიშნული.

მახნო.

„ბ. ე.“ იტყობინება:

„ვრანგელისა და მახნოს წარმომადგენლების მოლაპარაკების შემდეგ—ვრანგელმა მახნო გენერლის ხარისხში აიყვანა და უკრაინის არმიის სარდლად დანიშნა.

ამ დღეებში გენ. მახნოს არმიაში გაგზავნეს რუსული არმიის აფიცრები.

შეიძლება გენ. ვრანგელს მადლობა გადაუხადოთ“.

„ი. რ.“-ში დაბეჭდილია:

გენ. ვრანგელმა გამოსთქვა აზრი, რომ სასურველ პირობებში და მახნოს დახმარებით დეკემბრისთვის შეიძლება დაჭერა ეკატერინოსლავის, პოლტავის და ხარკოვის გუბერნიების რაიონების.

მახნო რუსულ არმიასთან არის სრულ კონტაკტში და მახნოს წარმომადგენელი ვოლოდინი იუწყება, რომ „დიდკას“ რაზმები კურსკის გუბერნიაშიც კი დაიჭერენ. (ე. ბ.)

ქრონიკა.

„ქიმერიონში“ დღეს გაიმართება საღამო ნაციონალური პარტიის ფონდისათვის.

ბათუმის მეჯლისი. ბათუმში ა. ჩხენკელის თანადასწრებით და მემეტბეგა აბაშიძის თავმჯდომარეობით შედგა მეჯლისის კრება ბათომის ოლქში ქემალისტებისა და ბალშევიკების მუშაობის გაძლიერების გამო.

„მორნინგ პოსტი“ და საქართველო. ინგლისის გაზეთ „მორნინგ პოსტში“ დაბეჭდილია მეთაური, რომელიც უარყოფითად ახასიათებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას.

კოცევის დაპატიმრება. საგანგებო რაზმის უფროსმა კედიამ დაპატიმრა მოიულეთის ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე ფშემახო-კოცევი.

ქართული ჯარი ართაანში ართაანიდან შემდეგი ცნობა მოგვივიდა: ქალაქის მეოთხე ნაწილი უსაზღვრო სიხარულით შეეგება საქართველოს ჯარის ხელში გადასვლას ქალაქის ამ ნაწილის მუსლიმანობა აღტაცებულია და ოლქში სრული მშვიდობიანობა სუფევს. (ბ. ფ.)

უკანასკნელი ცნობები

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ვრანგელის გენერალურ შტაბში ყოფილა.

——

საფრანგეთის ფლოტი შავ ზღვისკენ წავიდა.

——

რუსეთმა შეასრულა საფრანგეთის ულტიმატუმი ფრანგ ტყვეთა განთავისუფლების შესახებ.

——

პეტლიურამ საფრანგეთიდან და რომიდან იარაღი მიიღო ბალშევიკებთან საბრძოლველად.

მატყლის საქმე მომარაგების სამინისტრო განმარტებას იძლევა იმ განცხადების გამო, რომელიც მატყლის გაყიდვას შეეხებოდა. 1) რომლენ ორგანიზაციის ხელშიც არ უნდა გაიაროს მატყლმა, მომხმარებელს იგი უნდა მიეყიდოს განცხადებულ ფასებზე 10% და გადმოტანის ხარჯების დამატებით. 2) კოოპერატივებმა როგორც თავის წევრებს, ისე არა წევრებს მატყლი ერთგვარ პირობებში უნდა მიყიდონ.

ქალაქის საბჭოში. ორშაბათს, 18 ოქტომბერს შეხდგება ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება სხვათა შორის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება სასურსათო რეზიზის შესახებ.

საქართველოს დელეგაცია. ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკი, კონტროლიერი ფ. გოგიჩაიშვილი და სხვანი კიდევ ორი თვით რჩებიან ევროპაში.

იუსტიციის სამინისტროში. იუსტ. მინისტრის კანდიდატებად ასახელებენ გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგს ბ. ნ. ქარცივაძეს, დ. ონიაშვილს, კ. ნინიძეს და სხვა.

კლუბების დრო. კლუბ—რესტორანები შინ. საქ. მინისტრის ბრძანებით 11 საათზე უნდა დაიხუროს.

ახალი სარკინისგზო საზოგადოებანი. 27 აგვისტოს გზათა დეპარტამენტის საბჭომ განხილა ალაზნის ველისა და ქიზიყში ორმავალ ელექტრონულ რკინის გზების საქციონერო საზოგადოების დაარსების საკითხი.

3 სექტემბერს დეპარტამენტის საბჭომ განიხილა შავი ქვის მრეწველთა ყრილობის საბჭოს წინადადება ჭიათურის მისავალ რკინის გზების საქციონერო საზოგადოების დაარსების შესახებ.

შავი ზღვის რკინის გზა. შავი ზღვის რკინის გზის საზოგადოებამ აღძრა საკითხი გამორკვეული იქნეს მთავრობის დამოკიდებულება ჯერ კიდევ რევოლიუციამდე დამტკიცებულ ამ საზოგადოების წესდებისადმი. გზათა დეპარტამენტის საბჭო უახლოეს სხდომაზე განიხილავს ამ საკითხს და გამოსძებნის საშვალებას ამ არანორმალურ მდგომარეობიდან გამოსასვლელად.

მდინარეებზე ნავოსნობა. ნავთსადგურთა მთავარ სამმართველოს განზრახული აქვს გამოითხოვოს მდ. რიონზე, ჭოროხსა და ცივაზე ნავოსნობის მოწყობის გამოსაკვლევად 850.000 მანეთის კრედიტი. ამ საკითხის აღძრა გამოიწვია კომოტაჟური ხაზოსნობის ზრდამ, რომლისათვის დიდად ხელსაყრელი იქნებოდა ზღვის ნაპირიდან შიგ მხარის შუაგულში მიმოსასვლელი იაფ ფასიანი გზები.

ინგურის ხიდი. საინჟენერო საბჭომ განიხილა გზატკეცილების საშმართველოს მიგრ წარმოდგენილი წინასწარი მოსაზ-

რებანი სოხუმ-ახალსენაკის გზატკეცილზე, ოდარცეს მახლობლად, ბდ. ინგურის ხიდის გაკეთების შესახებ. საინჟენერო საბჭომ საკმარისად ვერ სცნო შეგროვილი ცნობები საკითხის რაციონალურად გადაჭრისათვის, რის გამო, მისი აზრით, კვლევა-ძიება გაგრძელებულ უნდა იქნეს.

სამტრედიის გვარდიაში. სამსახურიდან დათხოვნილია ქვემო აღნიშნული გვარდიელები, რომლებიც გაძევებული არიან სამტრედიის ოლქის სახალხო გვარდიიდან ყაჩაღობაში და ქურდობაში შემჩნევის გამო: 1. მენაბდე ნიკოლოზ პავლეს ძე, 2. ნიკურაძე ისაკი სამუილის ძე, 3. რუხაძე ალექსანდრე იოსების ძე, 4. ჯულაყიძე კირილე არტემის-ძე, 5. ჭეჭრაკია კოსტა გიორგის ძე, 6. ჭეჭრაკია მიხა გიორგის ძე, 7. ადეიშვილი ივანე ვასილის ძე. 8 კაკაძე პიკტორ ათანასეს ძე, 9. ცინკაძე ალფეზ პავლეს ძე, 10 გვენეტაძე შალვა ზაქარიას ძე.

— დამფუძნებელ კრებაში ოქტომბრის 15 ს. მდივნის თავჯდომარეობით გაიხსნა დამფუძნებელი კრების შემოდგომის სესია. სხდომის გახსნისას შეტყობილ იქნა წინადადება დამფუძნებელ კრების მუშაობის გადადების შესახებ, ვინაიდან სასახლის შეკეთება კიდევ არ დასრულებულა. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ეს წინადადება და ამასთანავე პრეზიდიუმს დაავალა მოიწვიოს დამფუძნებელი კრების სხდომა შენობის შეკეთების დასრულების შემდეგ. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო აგრეთვე დეკრეტი დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებისათვის 3 მილ. მან. გადადების შესახებ.

მცხეთობა და ინგლისი. ამიერკავკასიაში მყოფია ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა პოლკოვნიკმა სტოქსმა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას შემდეგი მისალმებით მიმართა: იმ დროს, როცა ქართველი ხალხი დღესასწაულობს მცხეთობას, ნება მიბოძეთ მოგიღოცოთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, და გულწრფელად ვუსურვო ქართველ ხალხს კეთილ დღეობა და ბედნიერება. 1920 წ. ოქტ. 14.

გაგრის საკითხი. ქალაქთა კავშირის კომიტეტმა გადაწყვიტა ოქტომბრის 26 თვის მოიწვიოს საგანგებო სხდომა იმ საკითხის გამოსარკვევად, იარსებოს თუ არა მომავალში გაგრის ქალაქის თვითმართველობამ.

ვაჭრობა საფრანგეთთან. ეროვნათა კავშირის კომიტეტმა საფრანგეთის ერთერთ მსხვილ სავაჭრო ფირმის წინადადებაზე, რომ იგი საქართველოსა და საფრანგეთს შორის უშუალო სავაჭრო დამოკიდებულებას მოაწყობს, პარიზში გაგზავნა ნიმუში ის საქონლისა, რომლებიც ეროვნათა კავშირს სჭირდება, ამასთანავე თან დართულია ეროვნათა კავშირის შემდეგი განცხადება: 1) ეროვნათა კავშირის კომიტეტი თანხმდება საქონლის გაცვლა—გამოცვლის მოწყობაზე იმ შემთხვევაში, თუ ფული გადახდილი იქნება საქართველოს სახელმწიფო ბანკის საშუალებით, რომელსაც კომიტეტი ჩაბარებს ნედლ მასალას პარიზს გასაგზავნად სავაჭრო ფირმის ადრესზე. 2) ყოველ თვიური საჭიროება შანუფაქტურისა დაახლოებით 300-დან 500.000 ფრანკის ღირებულებას უდრის.

კინემო „მინიონი“. კინემატოგრაფი „მინიონი“ შრომის სამინისტრომ წინადადება მისცა მე-2 უბნის კომისარს გამოუცხადოს მან ხელწერილ ქვეშ კინემატოგრაფ „მინიონის“ პატრონს მოქ. არამიანცს, რომ ვინაიდან მთავრობამ უარყო მისი შუამდგომლობა, წინადადება ეძლევა მას ერთი კვირის განმავლობაში გაანთავისუფლოს კინემატოგრაფის შენობა, რომელიც მუშათა სასახლის საჭიროებისათვის არის დანიშნული.

ტარიფი მარგანეცზე. მთავრობამ ოქტომბრის 12 სხდომაზე, გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორის მოხსენების მოსმენის შემდეგ, დაადგინა გადიდოს ჭიათურის მარგანეცის გადასატანი ტარიფი ოთხჯერ, ესე იგი არსებულ 10 მან. და 70 კაპ. მაგივრად დაწესდეს 43 მან. ფოთამდე და ბათუმამდე წინააღმდეგ 11 მან. 37 კ. დაწესდეს 46 მან. ახალი ტარიფი ძალაში ოქტ. 16-დან შევიდეს.

ქალაქის აღწერა. სტატისტიკურ საბჭოს მიერ არჩეული კომისია შეუდგა რესპუბლიკის ქალაქთა მცხოვრებლების და სასოფლო საშეურნეო აღწერის გეგმის დამუშავებას.

კანონი თამბაქოს შესახებ. ფინანსთა სამინისტროს სააქციზო სამმართველო იმუშავებს პროექტს თამბაქოს ნაწარმოებზე სააქციზო გადასახადის დაწესების შესახებ. აის პროექტის ორი ვარიანტი: 1) თამბაქოს ნაწარმოებზე აქციზს ფაბრიკაში შემოსული ფურცლოვან თამბაქოს წონის მიხედვით დაწესება და 2) დაწესება განდეროლის სისტემისა. ეს კანონ-პროექტი გაასაბილველად ახლოეს დღეებში ფინანსთა მინისტრის საბჭოს გადაეცემა.

ვალიუტის შესახებ

ოქტომბრის 11 სავალიუტო კომიტეტმა განიხილა უცხოეთის ვალიუტის შესყიდვის ნებართვის პროექტი. პროექტის განხილვის შემდეგ მიიღეს შემდეგი ინსტრუქცია: 1. ვალიუტა მიეცეს სხვა და სხვა პირებს სათანადო საბუთების, ე. ი. კონოსამენტების, დუბლიკატების და სხვ. წარმოდგენის შემდეგ. ამასთანავე საჭიროა საბაჟოს მოწმობა: ტრანზიტზე უარის თქმის, შემოტანილ საქონლის უკან გაუტანლობისა და შემოტანის ნებართვის შესახებ. 2. საქონლის შესაძენად საზღვარ გარედ წასასვლელ პირთა თხოვნა ვალიუტის მიცემის შესახებ უნდა განიხილოს სავალიუტო კომიტეტმა, რომელიც მოსთხოვს ასეთ პირებს გარანტიას, რომ ისინი მართლაც შემოიტანენ საქართველოში საქონელს და ან ვალიუტას უკან დაუბრუნებენ. ამგვარ გარანტიათ ჩაითვლება თამასუქი და სხ. საბუთები. 3. საქონლის აკრედიტივი გაეხსნებათ იმ პირთ, რომლებიც შემდეგ ამას არსებულ ფაქტურით გადიხდიან. 4. უცხოეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეთათვის ვალიუტის გაგზავნას საახელმწიფო ბანკი უნდა ახდენდეს. 5. უცხოელებს, რომლებიც მსახურობენ საქართველოში და ღებულობენ ჯამაგირს უცხოეთის ვალიუტით, შეიძლება საზღვარგარეთ ვალიუტა მხოლოდ სახელმწიფო ბანკის ნებართვით გაეგზავნოთ. 6. თხოვნებსა და საბუთებზე თუ ის დაკმაყოფილებულ იქმნა უნდა აღინიშნოს ვალიუტის მიღება და სათანადო ბეჭედიც დაეკრას. 7. გემით მოგზაურობის ხარჯების გადახდა ნებადართულ იქმნას უცხოეთის ვალიუტით. 8. იმ პირთ, ვისაც ვალიუტის უფლების შეძენა აქვს, მიეცეს ვალიუტის გადაცვლის უფლებაც.

რკინის გზის სახელოსნოებში

ბ-ნ ნ. ჟორდანიას მოხსენებით შრომის ნაყოფიერება სახელოსნოებში ასეკლებულობს

„კოტელნი ცეხში“

1914	წელში	—	100%
1916	„	—	82 „
1920	„	—	41 „

„კუზნეჩნი ცეხში“:

1914	წელში	—	100%
1916	„	—	131 „
1917	„	—	94 „
1920	„		42 „

„ვაგონის ცეხში“:

1914	წელში	—	100%
1916	„	—	181 „
1917	„	—	91 „
1920	„	—	41 „

„სბორნი ცეხში“

1914	წელში	—	100%
1920	„	—	86 „

(ე)

მოქალაქეთა რეგისტრაცია და სამღვდელოება

(კანონების გადამსინჯავი კომისიის პროექტის გამო)

ჩვენი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა—ახალი სახელმწიფოა და ნორჩია, სადაც ბევრია გასაკეთებელი, ბევრია ასაშენებელი, ბევრია სამუშეავარი. ჩვენ გვინდა მივსცეთ ახალი ფორმა ახალი ხასიათი და ახალი გზა და მიმდინარეობა, ნაგრამ განა ყოველ საქმეს მოუხდება განახლება და რეფორმა?!! არა, ზოგს მოუხდება განახლება და გადასხვაფერება, ზოგიერთ საქმეებს კი კიდეც აწყენს და აზარალებს,—ამიტომაც დიდი სიფრთხილე და დაკვირება გვიმართებს და უფრო სასარგებლო იქნება, რომ აშენებულები არ დავანგრიოთ, მხოლოთ გავაკეთოთ და ავაშენოთ ის, რაც კი გაუკეთებელი და აუშენებელია ჩვენში.

გაზეთებმა, სხვათა შორის, გვამცნო თუ როგორი პროეკტი შეიმუშავა კანონების გადამსინჯავმა კომისიამ მოქალაქეობის რეგისტრაციის შესახებ, საიდანაც ვგებულობთ, რომ დაბადება, ქორწინება და სიკვდილი მეტრიკულ წიგნებში უნდა აწარმოვონ ადგილობრივმა მმართველობის წრეებმა. მეტრიკული წიგნები ნაწარმოები იქნებიან ორ ეკზემპლიარად, თითო ეკზემპლიარი გადაეცემა ნოტარიუსის არქივებს, რომელნიც საოლქო სასამართლოებს ექვემდებარება. ამ პროეკტის მიხედვით, ეკკლესიებს და სამღვდელოებას ჩამოერთმევათ მეტრიკული წიგნები და მათი წარმოება და გადავა საერო დაწესებულებათა და მათ მესვეურთა ხელში. ასეთ შემთხვევაში ერთის მხრით სამღვდელოებას თავიდგან აშორდება ის ზედმეტი, უმადური და ხალხისგან და მთავრობიდგან დაუფასებელი შრომა, დროს დაკარგვა და ხარჯები, რაც გამოწვეულია ჯერ ხომ „მეტრიჩესკის“ წიგნების შეძენით და მერე მათი წარმოებით; სამღვდელოება თავისუფლდება ამ თავ-სატეხი საქმიდგან, მაგრამ მეორეს მხრით გადავხედოთ ამ საქმის ხეერხულობას, სარწმუნოების მხრით შეუფერებლობას და ცუდ შედეგებს და არევ-დარევას, რაც მოყვება ასეთ რეგისტრაციას, რაზედაც მოგახსენებთ შემდეგს:

ერთი უხერხულობა და შეუფერებლობა იმაში გამოიხატება, რომ ნათლისღება და ქორწინება ითვლებიან ეკკლესიურ წმიდა საიდუმლოებათ და ამ წმიდა საიდუმლოებაზ მორჩილებით და მოწიწებით ასრულებს სამღვდელოება და აჯა ერისაგანნი, ამისათვის ამ საიდუმლო მღვდელ—მოქმედებას მეტრიკულ წიგნებში უნდა სწერდენ და აწარმოებდენ მხოლოთ და მხოლოთ ის სამღვდელო პირები, რომელნიც ამ საეკლესიო საიდუმლოებას თითონვე ასრულებენ და არა ის საერო პირები, რომელთაც არავითარი ეკკლესიური კავშირი ამ წმიდა საიდუმლოების შესრულებასთან არა აქვსთ და თვით მორწმუნე ხალხიც ისევე სამღვდელოების და ეკლესიების გარშემო იტრიალებს ამ საქმეში და თავის შვილებზე შესრულებულ ეკლესიურ საიდუმლოებას—ნათლას და ქორწინებას საერთო წოდების ადმინისტრაციას ასე ადვილათ არ გაათელვინებს ფეხ-ქვეშ და სოფლის დაწესებულების მწერლების საძიებნავათ არ გახდის ამ წმიდა საქმეს.

მეორე ისაა, რომ ეკლესიაზე დაკავშირებული, თვით ამ წმიდა საიდუმლოების შემასრულებელი სამღვდელოება ყოველთვის უფრო ფაქიზათ, წმიდათ, მტკიცეთ და შეურყევლათ შეასრულებს მეტრიკული წიგნების წარმოებას, ვინემ გარეშე ერისაგანი მწერლები და გადამწერლები, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება ამ საიდუმლოებთან არ ექნებათ ჩაწერის გარდა, სამღვდელოება კი ქორწინებასთან და ნათლისღებასთან მტკიცეთ და მჭიდროთ არის შეკავშირებული დოგმატიურათაც, ეკლესიურათაც, სარწმუნოებრივათაც და ისტორიულათაც

მესამე ცუდი მხარე ასეთი რეგისტრაციისა ის არის, რომ დღეს თუ საწყალი უჯამაგირო და დაბეჩავებული სამღვდელოება უსასყიდლოთ და მუქთათ აწარმოებს მეტრიკულ წიგნებს, ეს იმიტომ, რომ თითოეული მღვდელი ძალაუნებურად ვალდებულათ იხდის თავს სამეტრიკო წიგნებში ჩაწეროს თავისგანვე შესრულებული საიდუმლო ნათლის ღება და ქორწინება. ეს თავისთავათ ხდება ისე, რომ არავითარი ზედმეტი ხარჯები ამ საქმეში არ ეკისრება არც ხალხს და არც სახელმწიფოს და თუ კი ეს ვალდებულება სამღვდელოებას ჩამოშორდება, მაშინ ზედმეტი დიდძალი ხარჯები და ამ საქმეების მაწარმოებელთა ჯამაგირები განსაკუთრებით ცალკე დასჭირდება მთავრობას და ამნაირათ ზარალიბით, ხარჯების და საქმის წახდენის და არევ-დარევის მეტი არა გამოდნება რა...

მეოთხე, უვარგისობა ასეთი რეგისტრაციისა ის მიზეზიც ერის, რომ თანამედროვე რევოლიუციამ ცხადათ დაგვანახვა, რომ ნოტარიუსების, საოლქო სასამართლოების და სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა ძველი არხიებიდგან გამოაქვსთ ისტორიული თვალსაჩინო დოკუმენტები და ქალაქის ბაზრებზე მეხილეებში და სხვა და სხვა საკაჭრო დუქნებში ჰყიდიან გამოსახვევათ ამა თუ იმ გასაყიდი საგნებისათვის. დღეს თუ გინდათ გაიგოთ თუ სად არის თქვე-

ნი ძველი მამა-პაპის და წინაპრების ნაწარმოები, ისტორიული საუკუნოების დოკუმენტები, მიბრძანდით მეხილეებში, სადაც თქვენ ასეთ დოკუმენტებში გამოგეხვევენ ყურძენს, ლეღვს, ატამს და სხვა გვარ ასეთ ხილეულობას და რომ შენის თვალით ნახავ ამ გაბარტახებულ დოკუმენტებს ერთ საუკუნის წინათ ლურჯ ქაღალდებზე დაწერილს, დაგენიება მათი მოსპობა, ძარღვები აგეშლება და ბრაზი მოგდის, მაგრამ ვის რას ეტყვი? აგერ წინეთ ერთმა ჩემმა შეგობარმა ქუთაისში მწარე ირონიით მითხრა, ეგრეთ წოდებულს „მწვანე ბაზარში“ შეხვედრის დროს: „წამოდი ხილზე დაგპატიჟებ“, იქნება ნაყიდი ხილი ისტორიულ დოკუმენტში გამოგვეხვიონ და ერთი ძველი საბუთი მაინც ჩავიგდოთ ხელში, ამდენი საბუთები შეუბრალებლათ იპობა და ყურაღღებას არავინ აქცევსო“...

ეხლა მიბრძანეთ, ასეთ ნაირათ რეგისტრაციის წარმოების შემდეგ, აბა რა „გარანტია“ ეძლევა მშობლებს, რომ მათი შვილების ნათვლის და ქორწინების დოკუმენტებიც ადრე თუ გვიან მეხილეებში არ გაიყიდოს ხილების გამოსახვევათ და სამუდამოთ არ მოსპონ ისე, როგორც დღეს სპობენ ძველ არხივებში ყოველ გვარ ისტორიულ დოკუმენტებს და ჩვენი ძველი მეფეების დაწერილ ღრამატებს და არგუმენტებს, მაშინ ხომ კიდეც მოისპობა ჩვენი შთამომავლობის და გვარ-ტომობის საბუთები და ჩვენი მომავალი ოიობაც წყევლა—კრულვას და ლანძღვა—გინებას გამოგვიგზავნის და ღირსიც ვიქნებით...

ამისათვის ამ უხერხულობის, შეუფერებლობის და ზარალების და ათასგვარ უსიამოვნების და არევ—დარევის თავიდგან ასაშორებლად სასურველია, რომ ეს პროექტი არ მიიღოს დამფუძნებელმა კრებამ და ძალიან სასურველი, სამართლიანი და უფრო სასურველიც იქნებოდა, რომ მეტრიკულ წიგნებს აწარმოებდეს ისევე სამღვდელოება, რომელიც საეკლესიო არხივებში როგორც გაძს ისე მეტრიკულ იცავს და კიდეც მუდამ დაიცავს თავის ნაწარმოებს წიგნებს და საეკლესიო საბუთებს და თუ მაინც და მაინც აუცილებელი საჭიროა იქნა ასეთი წესისმოქალაქეობის რეგისტრაციის შემოღება ადგილობრივ საიერობო დაწესებულებებში, იმ შემთხვევაში ყოველი წლის დამლევს მოეთხოვოს ხოლმე სამღვდელოებას შემოუმებული ასლი მთელი წლის მეტრიკული წიგნისა, ესე იგი, დღეს თუ სამღვდელოება ორ ეკზემპლიარათ ადგენს მეტრიჩესკის წიგნს, მაშინ დაევალოს მას, რომ მან შეადგინოს სამ ეკზემპლიარათ, ესე იგი, ერთი ეკზემპლიარი ეკკლესიის არხივისთვის, მეორე საკათალიკოზო ან სამიტროპოლიტო საქმეების არხივისთვის როგორც დღეიდის და მესამე კი სახელმწიფო დაწესებულებებისათვის მოქალაქეობის რეგისტრაციის შესადგენათ, მხოლოდ კიდევ ვიმეორებ, რომ სამღვდელოებას მუდამ მუქთათ ხომ ვერ იმსახურებენ, აუცილებელი საჭიროა მათი უზრუნველ ყოფა შესაფერისი ჯამაგირების დანიშვნით და ბარემაც ამდენ ძრომასთან სამეტრიკო წიგნის მესამე ეკზემპლიარის შედგენაც მათ დაეკისრონ სარეგისტრაციოთ და ამითი ხალხს მაინც ეკნება თავისი ეკკლესიური საბუთების გარანტია.—

ბეს. ჭიათურელი.

კორესპონდენცია

შორაპნის მაზრიდან

ქორეთის თემის ცხოვრებიდან.

ჩვენი სოფლის დღევანდელ ცხოვრებას დაკვირვებით რომ თვალი გადაავლოთ, სანუგეშოს ვერას იპოვით, გარდა იმისა, რომ დღეს ხალხი, წინანდელ დროსთან შედარებით, უფრო გამოფხიზლებულია და თვით-გამორკვევის გზაზეა დამდგარი, თუმცა ობიეკტიური პირობები მას ამ მხრით სასურველათ ხელს არ უწყობს. თავდაცვის უნარი და თავისი ნაშრომ ნაოფლარის დაფარვის ცოდნა მას თან და თან მეტად ემჩნევა, იგი გამოდის იმ დაჩაგრულ და კარ-ჩაკეტილ მდგომარეობიდან, რომელშიაც დღემდის იმყოფებოდა; ის ბნელეთი, რომელიც მას გარს ეხვია, სადღაც უფსკრულში ეშვება. მაგრამ, რა გამოვიდა! ამ გამოღვიძების დროს, ყოველი მხრიდან შევიწროვება და ლანძღა დიდათ აფერხებს სოფლის ხალხის ცხოვრების წარმატებას. ამისთვის არის, რომ ხშირათ მესმის ამ ნაირი სიტყვები: „საწყალი ხალხისათვის არ გათენებულა და არც გათენდებაო ჩვენთვის სიკეთე არც ყოფილა და არც იქნებაო, ჩვენ არავინ რასმეს გვკითხავს და თვითონ როგორც მოუნდებით, ისე მოქმედებენო და სხ.“ თქვენ გნებავთ, რომ ვაიგოთ დღევანდელი ვითარება სოფლის ცხოვრებისა? დიდის სიამოვნებით, მხოლოდ იმდენად, რამდენათაც შეგვიძლია აქაური სიტყვის თავისუფლებით ვისარგებლოთ.

მართლა გგონიათ, რომ ყველასათვის სიტყვის თავისუფლება იყოს? თქვენც არ მომიკვდეთ! ეს ბედნიერება წილად ხვდა ჯერ ჯერობით მხოლოდ ერთ მუჭა ხალხს, რომელიც არის თუ არ არის ესრეთი, თავის თავს სოციალ-დემოკრატს უწოდებს. ეინც კი ეს სახელი დაირქვა, ღირსია თუ არა მისი ტარებისა, ნეტარება მას. მათ დიდათ მოაქესთ თავი, უზომოთ ყოყი ჩობენ, თითქოს ქვეყანა მათი აშენებული იყოს. სხვა ხალხი აქ დევნილია. ამასთანავე, გული გიკვდება, როცა ხედავ, რომ გულშინდელი მცარცველი, ან კიდევ იგეთები, რომელთაც სოციალისტობის არა აცხიათ რა, სათავეში წამოსკუპებულან, ბრძანებლობენ ხალხზე და მ სი კი არა შეჭირსთ რა! სხვა პარტიის ხალხი ხომ თვალით არ დაინახვებათ და ასე გასიხჯეთ ტანისამოსსაც კი სდევნიან, რომელიც მათ არ მოეწონებათ. თავისუფლებაც ასეთი უნდა! მართალია კრებებს, კოლეკტიური გნებავთ, თუ პარტიული, ხალხის სასარგებლო საქმეებზე ბაასობენ: გზების კეთებაზე, ფოსტა-ტელეგრაფის, ტელეფონის, სასწავლებლების, საავადმყოფოების და ეგვით სამოთხის დაარსებაზე სოფლად, მაგრამ ეს ყოველივე სიტყვით, ნამდვილად კი, ნეტავ თქვენი სიცოცხლით, ცუდი გზების გამო, ტალახში არ ვიხრჩობოდეთ. აღსანიშნავია, რომ ამისთანა სოციალ-დემოკრატებმა ამ პარტიის ბევრს პატივისმცემელს, თანამგრძნობთ და მოყვარეთ გაუტეხეს გული და ბევრი ჩამოაშორეს მას.

ჩვენ თემში არაფერი გაკეთებულა, თუმცა საზოგადო მოღვაწენი, თემის გამგეობათა წევრების სახით და სხვაც მრავალი გვყავს. იკითხვათ, თუ რა გაკეთდა აქ ერობის შემოღებით.—არაფერი, გარდა იმისა, რომ ერთის ადგილზე რამოდენიმე კაცია, რომელთა თვითნებობის და უფლების გადაჭარბებას საზღვარი არ უძევს.

ბევრი ძმობა-ერთობის მქადაგებელნი დღეს სპეკულიანტობაში გაითქვიფა, ვინ გინდა, რომ ამ ხელობას არ მისდევდეს, ყველა გავაჭრდა და ერთი მეორეს აღრჩობს. ზოგი სდევნის სპეკულიანტებს, მაგრამ, თუ შემთხვევამ ხელი შეუწყო, თვითონ არ ერიდება ამ. სუფთა ხელობას.

სხეათა შორის, ჩვენ სოფლებში მიწის მზომლები დადიან და აქა-იქ თითოოროლა ქცევა მიწას ართმევენ მესაკუთრეებს (ერობის განკარგულებით), რაიცა მათში დიდ უსიამოვნობას იწვევს.

არის, მაგალითად, მისთანა შემთხვევები, რომ ოჯახში მუშა ხელი ბევრია და სამუშაოთ თვითონაც არ ყოფნისთ რაღაც 20—25 ქცევა მიწა, მოდი და წაართვი მათ ეს მიწა? მართლაც, ძნელად შეურიგდება მიწის, ამგვარ შემთხვევაში, ჩამორთმევას ისეთი კაცი, რომელსაც იგი თავისი ოფლით შეუძენია, ან ამგვარივე წესით მამა-პაპისაგან აგებია და რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში დღე—მუდამ მას ჩაკირკიტებს და ყოველი მისი გოჯიც კი თავისი ოფლით და სისხლით აქვს მორწყული, თვითონ ვრევა დასამუშავებლად, უვლის, პატრონობს და ისე უყვარს, როგორც თავისი ღვიძლი შვილი. ესეც რომ არ იყოს, ორი ან სამი ქცევა მიწის ჩამორთმევით ბევრი არა კეთდება რა და არაკი რომ არის: ჩიტი ბღლვნათ არა ღირდა, უკან დევნა მეტი იყოვო, სწორეთ ისაა, სხვა არაფერი. რაც ამას ხარჯები ჭირდება, მისი ფასი არ არის.

სხვა, სიმინდისა და ღვინის მოსავალი ამ მაარეზე შარშანდელთან შედარებით, გაცილებით უკეთესია, თითქმის საშუალოზე მეტია და საყოფაც, თუ დაზოგვით მოიხმარეს და არ გაფლანგეს.

ამას წინათ მოგახსენებდით სოფელ საირხეზე, რომ იგი მშვენიერია-მეთქი. ბუნებამ თითქოს იწყინა ამის თქმა და ამ ათიოდე დღის წინათ დიდ-ს რისხვით დაატყდა ამ სოფელს. ჯერ აქეთ არავის უნახავს ასე სასტიკი და საშიშარი მოვლენა ბუნებისა: კოკისპირულმა წვიმამ და სეტყვამ დიდი ზარალი მიაყენა ამ სოფელს, მოზღვავებულმა ნიაღვარმა ბევრგან წალეკა, ხრამსა და ლელეტეხილებში გადაყარა სიმინდი და ჩალა. საკვირველია მხოლოდ, რომ ვენახები ძალიან არ დაზარალდა, თუმცა სეტყვამ მეოთხედ არშინზე დაფარა დედა-მიწა. ესეთია ჯერ-ჯერობით აქაური ავ-კარგიანობა.

საირხელი.

ხარფუხის ეკლესიისთვის

ხარფუხის წმიდა ... ეკლესიის კრებული ულრმეს მადლობას უცხადებს თავის საჯვარეულს, რომელმაც მიუძღვნა მას ერთდროული დახმარების სახით 12000 მანეთი თავისი ღარიბი ჯიბიდგან და თან გამოსქვამს სიხარულს, რომ ეს და მრავალი ასეთი მოვლენანი ამ მოკლე დროში სხვა საჯვარეულოებშიც საქართველოში ამტყუენებს „სახალხო საქმის“ მეპრესეს, რომელმაც ამას წინეთ სოციალისტურად დაიტრაბახა: „სამღვდელოება, როგორც ეკლესიის მსახურნი, ქართველ ერს სასაცილოდ ალარ ყოფნის“-ო.

დეკ. ». ქ—ძე.

რედაქტორი: გრ. ვეშაპელი

სამხ. სამ. სტამბა, ლორის-მელი ქ., 3

მატარეგლების მიმოსვლა

ოქტომბრის 10-დან 1920 წ.

თბილისიდან გადის

ბათუმამდის	№ 3	10. ს. 58 წ. დილ.
ბათუმში ჩადის		7 ს. 27 წ. დილ.
ფოთამდის	№ 9	5. ს. 34 წ. დღით.
ფოთში ჩადის		10 ს. 45 წ. დილ.
ბათუმამდის ჩქარი	№ 7	10. ს. 28 წ. საღ.
ბათუმში ჩადის		5 ს. 52 წ. საღ.
ბორჯომამდის	№ 19	3. ს. 19 წ. დღ.
ბორჯომში ჩადის		11 ს. 25 წ. დღ.
სალ-ოღლამდის		7 ს. 20 წ. დილ.
სანაინამდის		№ 4 8. დილ.
სანაინში ჩადის		5 ს. საღ.
კახეთისკენ		8 ს. 30 წ. დილ.

თბილისში მოდის

ფოთიდან	№ 10	3. ს. 51 წ.
თფილისში მოდის		9 ს. 16 წ. დღ.
ბათუმიდან	№ 4	4. ს. 9 წ. დილ.
თფილისში მოდის		1 ს. 1 წ. დღ.
ბათუმიდან	№ 8	11 ს. 37 წ. ღამ.
თფილისში მოდის		7 ს. 36 წ. ღამ.
ბორჯომიდან	№ 20	12 ს. 22 წ. ღამ.
თფილისში მოდის		7. ს. 47 წ. დილ.
სალ-ოღლიდან		12 ს. 10 წ. დილ.
სანაინიდან	№ 4	7 ს. 30 წ. დილ.
თბილისში მოდ.		3 ს. 20 წ. დილ.
კახეთიდან თბილისში მოდ.		8 ს. 20 წ. ს.

შენიშვნა: მატარებელს № 7 თბილისიდან მიყვება სამი ვაგონი პირდაპირ ქუთაისამდის; აქეთ კი მატარებელს № 8 მოყვება ერთი ვაგონი მიქსტი (I—II კლ.) და ორი ვაგონი III კლასისა.

თბილისსა და ბათუმ-ფოთ შორის მატარებლები დადიან 18—20 საათის განმავლობაში.

ბათუმის მატარებლები № 7—8 დროებით არ დადის.

გლეხთა საყურადღებოდ

დამფუძნებელი კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი სათანადო დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მცხოვრებთ გლეხებს ყოველგვარ საერთო—საზოგადო— საჭიროებათა (ადგილ მამულის, სურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების) დროზე დასაკმაყოფილებლად სათანადო დაწესებულებათა მიმართ.

ყოველგვარი ცნობები, უფამდგომლობანი და სხვა მასალა მიიღება **თბილისში:** „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამფუძნ. კრების ქ. №5